



2023
წელი

შპს გურამ თავართქილაძის
სახელობის
თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტი

უცხოელი სტუდენტების მოზიდვის სტრატეგია

შესავალი

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში - „გთუნი“) თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ბოლონის უნივერსიტეტების დიდი ქარტიითა და ლისაბონის კონვენციით გამოხატული პრინციპებით და თანმიმდევრულად ზრუნავს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისათვის.

გთუნი-სთვის ინტერნაციონალიზაცია არის საშუალება, მეთოდი და მექანიზმი, რომლითაც შიდა განვითარების პროცესი დაუკავშირდება საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემებს. ის კომპლექსური ცნებაა და გულისხმობს მთელი ინსტიტუციის (მისი პროგრამების, კურსების, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების თვალთახედვის, გარემოს, მომსახურების) ინტერნაციონალიზაციას.

ინტერნაციონალიზაცია გთუნი-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი და მიზანია. იგი მოიცავს კომპლექსურ ქმედებებს შემდეგი მიმართულებებით:

- ორგანიზაციული მართვის ინტერნაციონალიზაცია;
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის განვითარება;
- სტუდენტთა ინტერკულტურული გამოცდილების გამდიდრება და მხარდაჭერა გლობალიზებულ გარემოში აქტიურობისთვის

ამ კომპლექსური ქმედებების თანმიმდევრულად განსახორციელებლად მნიშვნელოვანია უცხოელი სტუდენტების მოზიდვა. წინამდებარე დოკუმენტი შექმნილია გთუნი-ს მოსამზადებლად უცხოელი სტუდენტების მოზიდვისა და მათი მომსახურების მიმართულებით. იგი ითვალისწინებს ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას უცხოენოვანი პროგრამების, მოდულების ან/და კურსების ჩამოყალიბებით, უცხოელი სტუდენტებისათვის პრაქტიკის გავლის პირობების შექმნითა და უცხოელი სტუდენტების მოზიდვის სტრატეგიის შემუშავებით.

ნაწილი I ზოგადი დებულებები

გთუნი-ს ინტერნაციონალიზაციის პროცესისათვის მნიშვნელოვანი გარემოებებია უცხოენოვანი კურსების, მოდულების, პროგრამების შექმნა; ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების ეტაპობრივად მომზადება და განხორციელება; უცხოელი სპეციალისტების მეტი ჩართვის უზრუნველყოფა გთუნი-ს სწავლა-სწავლების პროცესში; უცხოელი სტუდენტების მოზიდვა აღნიშნულ კურსებზე, მოდულებსა თუ პროგრამებზე და მათი მომსახურების ტაქტიკის შემუშავება.

გთუნი გეგმავს, მომზადებული შეხვედრებს ამ ყოველივეს, რათა წინასწარ გაითვალისწინოს პასუხისმგებლობები, რომლებიც საერთაშორისო პროგრამების განხორციელებასა და უცხოელი სტუდენტების მიღებას ახლავს.

1. პასუხისმგებლობების განსაზღვრა უცხოელი სტუდენტების მოზიდვასა და მიღებაზე

გთუნი დაინტერესებულია პროფესიულად განახორციელოს სტუდენტთა მოზიდვის სტრატეგია და აპლიკანტების მიღება. უცხოელი სტუდენტების მოზიდვა და მიღება გთუნი-ს საერთო პასუხისმგებლობაა, რაც სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მჭიდრო თანამშრომლობით უნდა განხორციელდეს მათი ფუნქციური უფლება-მოვალეობების ფარგლებში.

2. საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის პასუხისმგებლობა

- გთუნი-ს სტრუქტურულ ერთეულებს, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებს, პერსპექტიულ სტუდენტებს/აპლიკანტებსა და საჭიროების შემთხვევაში, მესამე მხარეს (სააგენტოები) შორის კოორდინაციის უზრუნველყოფა;
- ფაკულტეტების პერსონალის ინსტრუქტირება უცხოელი სტუდენტების მოზიდვისა და მიღების შესახებ;
- ტრენინგების ჩატარება სტუდენტების მოზიდვისა და მიღების პროცესში ჩართული პირებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის; სხვადასხვა უსდ-ის საუკეთესო გამოცდილების გავრცელება და სხვ.;
- გთუნი-ს სტრატეგიის, ეროვნული საგანამანათლებლო პოლიტიკის, რეგულაციებისა და სხვა საჭირო დოკუმენტების მიწოდება პოტენციური უცხოელი სტუდენტების წარმგზავნი უსდ-ების ან სააგენტოებისათვის;
- უცხოელი პოტენციური სტუდენტების ინფორმირება საქართველოში ცხოვრების პირობების შესახებ;
- საერთაშორისო სტუდენტების მომსახურების ტაქტიკის შემუშავება.

3. ფაკულტეტების პასუხისმგებლობა

- აპლიკანტთა შერჩევისა და შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმების განსაზღვრა;
- პოტენციური სტუდენტებისათვის სანდო, დაზუსტებული და რელევანტური ინფორმაციის მიწოდება შეთავაზებულ კურსებთან, მოდულებთან ან/და პროგრამებთან, სელექციის წესთან, შეფასების კრიტერიუმებთან და მიღების პროცედურებთან დაკავშირებით;
- პერსპექტიული სტუდენტებისათვის აკადემიური გადაწყვეტილებების გაცნობა და შესაძლებლობების ფარგლებში მათთან უკუკავშირის განხორციელება;
- მუდმივი კომუნიკაცია აპლიკანტებთან მიღების პროცესში (ელექტრონული მიმოწერა,

ინტერვიუები, ონლაინ ინტერვიუები და სხვ.);

- მიღების პროცედურის გამჭვირვალობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფა.

4. ინფორმაციით უზუნველყოფა

- გთუნი დაინტერესებულია პოტენციური უცხოელი სტუდენტების დროული, ზუსტი და ადეკვატური ინფორმირებით;
- გთუნი გამოხატავს მზაობას, დაეხმაროს პოტენციურ უცხოელ სტუდენტებს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში;

5. ინფორმაციის სიზუსტე, სანდოობა, დეტალურობა, გამჭვირვალობა, ხელმისაწვდომობა და დროულობა

- გთუნი-ს მიერ მომზადებული და გავრცელებული ინფორმაცია უნივერსიტეტის, პროგრამების, მოდულების ან კურსების შინაარსის, სტრუქტურის, ხანგრძლივობის, ლიტერატურის, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების, სწავლის საფასურის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებისა და ა. შ. შესახებ იქნება ზუსტი, სანდო, დეტალური, ხელმისაწვდომი და დროული;
- ზემოაღნიშნული ინფორმაცია პოტენციურ სტუდენტებს მიეწოდებათ პროგრამების, მოდულების, კურსების დაწყებამდე არაუგვიანეს 3 თვით ადრე;
- ინფორმაცია პროგრამების, მოდულებისა და კურსების და სტუდენტთა გამოცდილების შესახებ იქნება გამჭვირვალე;
- ინფორმაცია სტუდენტთა შერჩევისა და მიღების პროცედურების შესახებ იქნება გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი;
- მომზადდება და განახლდება ინფორმაცია ვებ-გვერდისთვის;
- მომზადდება და განახლდება ბროშურები პროგრამების, მოდულების, კურსების შესაბამისად;
- განხორციელდება ციფრული კომუნიკაცია;
- მოეწყობა ღია კარის დღეები;
- გთუნი აქტიურად გააგრძელებს განათლების საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობას და ჩაატარებს სხვადასხვა საპრომოციო აქტივობას.

6. მესამე მხარის მონაწილეობა

- სტუდენტების მოზიდვისა და მიღების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, გთუნი მიმართავს საქართველოსა და საერთაშორისო სააგენტოებს მათი გამოცდილებისა და რეპუტაციის გათვალისწინებით;
- სააგენტოს შერჩევა მოხდება ერთობლივი საუნივერსიტეტო გადაწყვეტილებით.

7. უცხოელი სტუდენტისთვის სწავლის უფლების უზრუნველყოფა

უცხოელი სტუდენტისათვის სწავლის უფლება უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ნაწილი II უცხოელი სტუდენტების მოზიდვის გეგმა

1. უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიზნები

- გრძელვადიან პერსპექტივაში უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიზანია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შემდგომი განვითარება, სწავლებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და გოუნი-ს, როგორც ბრენდის, პოპულარიზაცია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში;
- მოკლევადიან პერსპექტივაში უცხოელი სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური უნივერსიტეტს საშუალებას მისცემს განახორციელოს მნიშვნელოვანი ინვესტიციები ინფრასტრუქტურასა და ტექნოლოგიებში და აგრეთვე განავითაროს ახალი საგანმანათლებლო პროგრამები;

2. უცხოელი სტუდენტების მოზიდვის ამოცანები

- მისაღები კონტინგენტის განსაზღვრა;
- გოუნი-ს პოპულარიზაციისა და უცხოელი სტუდენტების მოზიდვის ინსტრუმენტების დივერსიფიკაცია;
- საინფორმაციო პაკეტის მომზადება;
- ახალი პოზიციების შექმნა ფაკულტეტებზე ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობისათვის.

3. მისაღები კონტინგენტის განსაზღვრა

უცხოენოვანი პროგრამების წარმატებით აკრედიტაციის შემთხვევაში გოუნი გეგმავს უცხოელი სტუდენტების ქვემოთ მოცემული რაოდენობის მიღებას პროგრამების/მოდულების მიხედვით:

პროგრამა/მოდული	სტუდენტთა რაოდენობა		
	2022/2023	2023/2024	2024/2025
საბაკალავრო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება	20	30	30

საბაკალავრო პროგრამა - ტურიზმი	20	30	30
--------------------------------	----	----	----

4. გთუნი-ს პოპულარიზაციისა და უცხოელი სტუდენტების მოზიდვის ინსტრუმენტების დივერსიფიკაცია

4.1. გთუნი-ს პოპულარიზაცია და მოზიდვა ინტერნეტისა და სოციალური ქსელების მეშვეობით

- ვებ-გვერდის ინგლისური ვერსიის გაუმჯობესება და გამდიდრება განყოფილებებითა და ინფორმაციით: Scholarships, Alumni, Student life, Professors, Partners და სხვ.;
- განყოფილების “For Applicants” დამატება და მისი შინაარსისადმი მაღალი მოთხოვნის დამკვიდრება;
- “Apply Online” ფუნქციის რეალიზაცია ან/და მოდულის შექმნა “Enquire Us Now” (სწავლების პირობები, კონკრეტული პროგრამის არჩევა, მიღების პროცედურა, პოტენციური სტუდენტების საკონტაქტო ინფორმაციის მოგროვება და სხვ.);
- სპეციალიზებულ პორტალებზე ინფორმაციის განთავსება და ალტერნატიული ველების მოძიება გთუნი-ს პოპულარიზაციის მიზნებისთვის;
- სოციალური ქსელების (Facebook, Instagram, Twitter და სხვ.) აქტიური გამოყენება;
- ელექტრონული ფოსტის მისამართების ბაზის შექმნა და სიახლეებისა და სარეკლამო ინფორმაციის დაგზავნა ამ ბაზაზე.

4.2. უცხოელი სტუდენტების მოზიდვა ე.წ. მესამე მხარის მეშვეობით

- თანამშრომლობის განვითარება მოზიდვის სააგენტოებთან;
- მოზიდვა არსებული ინსტიტუციური კავშირებისა და პარტნიორების ქსელის მეშვეობით;
- ტურისტულ ოპერატორებთან თანამშრომლობის განვითარება და მათთვის გთუნი-ს საპრომოციო მასალის მიწოდება;
- საპრომოციო მასალის პერიოდულად განახლება.

5. საინფორმაციო პაკეტის მომზადება

- გთუნი-ს ორენოვანი ბროშურის განახლება საერთაშორისო პროგრამებზე ფოკუსირებით;
- ინგლისურენოვანი ბროშურის “Study at GTUNI, Tbilisi, Georgia“ შექმნა, რომელშიც ასახული იქნება უცხოენოვანი პროგრამების სტრუქტურა და ძირითადი კურსები, მიღების წესი, დიპლომის აღიარების წესი, კარიერული პერსპექტივები, საფასური, სტუდენტური ცხოვრება და სხვ.;
- ე. წ. “International Student Handbook“-ის მომზადება.

6. ახალი პოზიციების შექმნა ფაკულტეტებზე ინტერნაციონალიზაციის პროცესის

ხელშეწყობისათვის

- ფაკულტეტებზე “Academic Advisor” (აკადემიური კონსულტანტი) პოზიციის შემოღება, რომლის ფუნქცია იქნება უცხოელი აბიტურიენტებისათვის/პოტენციური სტუდენტებისათვის პროგრამების შერჩევასა და ინდივიდუალური გეგმის შექმნაში დახმარების გაწევა;
 - ფაკულტეტებზე “Student Advisor” (სტუდენტი კონსულტანტი) პოზიციის შემოღება, რომლის ფუნქცია იქნება უცხოელი აბიტურიენტებისათვის/პოტენციური სტუდენტებისათვის სწავლა-სწავლებისა და საუნივერსიტეტო ცხოვრების სხვადასხვა მხარესთან დაკავშირებით მოხალისეობრივი დახმარების გაწევა.
7. გთუნი-ს პოპულარიზაციისა და უცხოელი სტუდენტების მოზიდვის ინსტრუმენტების დივერსიფიკაციის სათანადო რესურსებით უზრუნველყოფა
- გთუნი-ს პოპულარიზაცია და უცხოელი სტუდენტების მოზიდვის ინსტრუმენტების დივერსიფიკაცია და მოზიდვის გეგმის რეალიზაცია საჭიროებს სათანადო რესურსებით უზრუნველყოფას;
 - ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებათა კომპლექსის მნიშვნელოვანი ნაწილი თავმოყრილი იქნება სოციალური მედია-მარკეტინგის სფეროში;
 - მასალის მომზადების მიზნებისთვის გამოყენებული იქნება პროფესიული განვითარების ცენტრის თანამშრომელთა რესურსი;
 - მასალის დაბეჭდვის თანხას უზრუნველყოფს გთუნი-ს ბიუჯეტი;
 - მასალის ასლების მომზადება უზრუნველყოფილი იქნება გთუნი-ს სპეციალისტის მიერ გთუნი-ს საკუთრებაში არსებული ქსეროქსის აპარატებით;
 - ინტერნეტის მეშვეობით კომუნიკაციისათვის გთუნი უზრუნველყოფილია მაღალი ხარისხის ტექნიკური ბაზით.